

კონკურსის „ფინედუ კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში“ ფარგლებში
ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა



ინფორმაცია კონკურსანტის შესახებ	
სკოლის დასახელება	კონკურსანტი მასწავლებლის სახელი, გვარი, პოზიცია
სსიპ შალვა ბედოიძის სახელობის გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N1საჯარო სკოლა.	ნინო სამხარაული

კონკურსის „ფინედუ კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა



ინფორმაცია ბიბლიოთეკის საჭიროებაზე

აღწერეთ, რატომ გასურთ სკოლის ბიბლიოთეკაში „ფინედუს“ კუთხის დამატება

- რატომ არის მნიშვნელოვანი სკოლაში „ფინედუს“ კუთხის გახსნა?
- როგორ შეუწყობს ხელს „ფინედუს“ კუთხე სკოლას და განათლების პროცესს?
- რა შეუწყობს ხელს მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, აქტიურად გამოიყენონ „ფინედუს“ კუთხის მასალები?

დღევანდელ კომპლექსურ და ურთიერთდაკავშირებულ სამყაროში ფინანსური წიგნიერება როგორც ინდივიდუალური, ისე საზოგადოების კეთილდღეობისთვის საკვანძო ფაქტორს წარმოადგენს. ფინანსური განათლება, გარდა უზრალო ბიუჯეტებისა და დაზოგვისა, ადამიანებს უზრუნველყოფს იმ ცოდნითა და უნარებით, რომლებიც აუცილებელია კომპლექსურ, ფინანსურ ლანდშაფტზე ნავიგაციისთვის. ინფორმირებული არჩევანის გაკეთება და პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღება ფინანსური კეთილდღეობის მთავარი წინაპირობაა. სკოლაში „ფინედუს“ კუთხის გახსნა – როგორც სივრცისა, დაეხმარება მოსწავლეებს გაეცნონ ფინანსებთან დაკავშირებულ თემებს, განივითარონ ფინანსური ჩვევები. აღნიშნული მრავალმხრივ სარგებელს მოუტანს როგორც მოსწავლეთა ინდივიდუალურ განვითარებას, ისე სასკოლო საზოგადოებას. რადგან, თუ მოზარდები ჯერ კიდევ სკოლაში, ადრეული ასაკიდან დაეუფლებიან ფინანსურ საკითხებს (მაგალითად: როგორ მართონ ფული გონივრულად და სხვა), მომავალში მათ ნაკლებად დაემუქრებათ ფინანსური დაუცველობა და ზედმეტი ფინანსური პრობლემები. მიმაჩნია, რომ „ფინედუ“ მხოლოდ ფინანსების სწავლების პლატფორმას არ წარმოადგენს. ის განათლების სისტემაში სწავლების მნიშვნელოვანი და ინოვაციური კომპონენტია, რომელიც ხელს უწყობს როგორც სასკოლო გარემოს, ისე მთლიანად საგანმანათლებლო პროცესის განვითარებას. ასეთი კუთხის არსებობა სკოლაში ხელს შეუწყობს სასკოლო თემის განვითარებას რამდენიმე მიმართულებით: რადგან „ფინედუ“ ინტერდისციპლინარული მიმართულებაა, რომელიც აერთიანებს რამდენიმე დისციპლინას – მათემატიკას (პროცენტები, ანგარიშგებები), ქართულს (ტერმინოლოგია, ანალიზი), ხელოვნებას (პოსტერების, პრეზენტაციების, მაკეტების შექმნა) და სამოქალაქო განათლებას, ასეთი დისციპლინის სწავლება დაეხმარება მოსწავლეებს კომპლექსური ცოდნის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. მოსწავლეები ხშირად სვამენ შეკითხვას. „ეს ცხოვრებაში რაში გამომადგება?“ ფინანსური კუთხე და მისი საგანმანათლებლო მასალები/რესურსები მოსწავლეებს პრაქტიკული მაგალითებით დაანახებს: როგორ დაგეგმონ საკუთარი ჯიბის ფული, როგორ შეადგინონ ბიუჯეტი, როგორ შეაფასონ პროდუქტის ფასი და სხვა. ამ და სხვა მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული მაგალითების მოდელირებას შეუწყობს ხელს ფინანსური წიგნიერება, რითაც მოსწავლეებს სწავლისკენ უზიძგებს. სკოლაში „ფინედუს“ კუთხის არსებობა ასევე ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას საკუთარი ინოვაციური იდეებისა და პროექტების განხორციელებაში. (მაგალითად: სკოლაში გამოფენა – გაყიდვების მოწყობა და სხვა) მსგავსი აქტივობები ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას და ააქტიურებს სასკოლო ცხოვრებას. „ფინედუს“ კუთხის მუშაობის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული იმაზე, რამდენად აქტიურად და

კონკურსის „ფინედუ კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა



	ინტერესით ჩაერთვება მასში სასკოლო თემა (მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები). მათთვის ეს სივრცე უნდა იქცეს არა მხოლოდ ინფორმაციის მიღების ადგილად, არამედ ინტერაქციული და საინტერესო საქმიანობის პლატფორმად. ამ მხრივ, კი მნიშვნელოვანია რამდენიმე ფაქტორი: თუ „ფინედუს“ კუთხეში განთავსებული მასალები იქნება დაკავშირებული რეალურ ცხოვრებასთან, მოსწავლეებს უფრო მეტად გაუჩნდებათ ინტერესი. საინტერესო სიმულაციური თამაშები მოსწავლეებისთვის მამოტივირებელ გარემოს შექმნის. თუ „ფინედუს“ თემები ინტეგრირდება მაგალითად, მათემატიკაში, ქართულში, ხელოვნებაში, სამოქალაქო განათლების საგნებში და სხვა, მოსწავლეებს უფრო ბუნებრივად განუვითარდებათ ფინანსური აზროვნება. თუ მოსწავლეებს მიეცემათ საშუალება თვითონ შექმნან ზოგიერთი ფინანსური საკითხების შესახებ მასალა, (მაგალითად: საინფორმაციო ფლაერები, მინი რესურსები თანატოლებისთვის და სხვა), მათი დაინტერესება „ფინედუს“ კუთხისადმი უფრო გაიზრდება და შესაბამისად, გაიზრდება მათი პასუხისმგებლობა კუთხის მიმართ. პედაგოგები უფრო აქტიურად გამოიყენებენ „ფინედუს“ კუთხეს, თუ ექნებათ მარტივი და კონკრეტული გზამკვლევები- როგორ ჩართონ ფინანსური თემები საკუთარ საგანსა და გაკვეთილებში, როგორი/რა ტიპის სავარჯიშოები გამოიყენონ და როგორ შეაფასონ მოსწავლეთა პროგრესი.
--	---

ინფორმაცია ჩასატარებელი პროექტის/აქტივობის შესახებ	
პროექტის /აქტივობის დეტალები	ქვემოთ მოცემულ ველებში დეტალურად აღწერეთ პროექტი/აქტივობა, რომელსაც განახორციელებთ/დააინიცირებთ „ფინედუს“ მასალების გამოყენებით 2025 წლის 20 დეკემბრამდე. • შეგიძლიათ აღწეროთ როგორც ხანგრძლივი პროექტი, მაგ.: ფინანსური განათლების კლუბის შექმნა, სემესტრული კონკურსები, მასალების სხვა საგნებში ინტეგრირება და სხვ. ასევე, კონკრეტული, ერთჯერადი აქტივობები, მაგ.: ტრენინგი, დისკუსია და სხვ. • განგრძობით პროექტებში ინიცირება გულისხმობს პირველი აქტივობის ჩატარებას.
მიზნობრივი სეგმენტი (მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები ან სხვ)	მიზნობრივ სეგმენტს წარმოადგენს საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები.

კონკურსის „ფინედუ კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა



ადგილი, ხანგრძლივობა, ჯერადობა	სსიპ შალვა ბედოიძის სახელობის გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N1 საჯარო სკოლა. პროექტის ხანგრძლივობა: 2024-2025 სასწავლო წლის 1 ოქტომბერი-15 დეკემბერი. 12-14 სამუშაო შეხვედრა.
ინდივიდუალურად განახორციელებთ თუ სხვა პირის ან ორგანიზაციის ჩართულობით (თუ სხვაც ჩაერთვება, პერსონალური მონაცემების მითითების გარეშე), მოკლედ აღწერეთ რა დანიშნულებით/ფუნქციით ჩაერთვება	მე, ნინო სამხარაული ვიქნები პროექტის ხელმძღვანელი. ჩავრთავ მათემატიკის, ქართულის, ფიზიკის, სამოქალაქო განათლების საგნის პედაგოგებს. აღნიშნული საგნის პედაგოგების პროექტის აქტივობებში ჩართვა მოიაზრებს საკუთარ საგნებში ისეთი აქტივობების დაგეგმვა- განხორციელებას, რომელიც დაუკავშირდება ფინანსური განათლებისა და ფინანსური წიგნიერების ცოდნის დაუფლებას/ინტეგრირებას. ვეცდები პროექტში მოსწავლეთა მშობლების ჩართვას, რადგან მიმაჩნია, რომ მშობელთა მონაწილეობა კიდევ უფრო ღირებულს გახდის პროექტს, ამავდროულად გააძლიერებს სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობის კულტურას.
პროექტის/აქტივობის აღწერა (მოუთითეთ ყველა რელევანტური ინფორმაცია პროექტის იდეის შესაბამისად: რაში მდგომარეობს იდეა, როგორ წარიმართება შეხვედრა/შეხვედრები, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილავთ თემებს, რა სავარუდო თემები დაიფარება, რა მეთოდებს გამოიყენებთ და როგორ დაუკავშირებთ ფინანსურ განათლებას, რამდენი მონაწილე ჩაერთვება, პროექტი განგრძობილია თუ ერთჯერადი)	პროექტის მთავარი იდეაა სკოლაში მოკლევადიანი ფინანსური კლუბის, სახელწოდებით “ჩემი პირველი ფინანსური გაკვეთილები” შექმნა, რომელიც მიზნად ისახავს საბაზო/საშუალო საფეხურის მოსწავლეებში ფინანსური წიგნიერების საბაზისო უნარების განვითარებას. პროექტი ეფუძნება ყოველდღიური ფინანსური გამოცდილების სიმულაციას და პრაქტიკული აქტივობების გზით სწავლას, რაც მოსწავლეებს საშუალებას მისცემს ეტაპობრივად შეისწავლონ საბანკო პროდუქტები და ტერმინები, გაეცნონ ისეთ თემებს, როგორიცაა: ბიუჯეტირება/დაზოგვა, პირადი დანაზოგების მნიშვნელობა, დეპოზიტები, სესხი და მისი სახეები, პასუხისმგებელიანი სესხის აღების პრინციპები, მომხმარებელთა უფლებები/მოვალეობები, ფინანსურ ორგანიზაციებთან ურთიერთობა და უსაფრთხოების საკითხები, ფულის განვითარების ისტორია. შეხვედრები ჩატარდება კვირაში 1-2 ჯერ (მოსწავლეთა ინტერესების/სკოლის სურვილის შესაბამისად), ჯამში 12-14 შეხვედრა. თითოეული გაკვეთილი მოიცავს: მასწავლებლის თემატურ მინილექციას/დისკუსიას (20-25წთ); მიზნობრივად შერჩეულ თემატურ აქტივობას/სიმულაციას/პრაქტიკულ დავალებას (25-30წთ); შეხვედრის შეჯამება/რეფლექსიას (10-15 წთ) გამოყენებული მეთოდები და მეთოდები: პრობლემაზე, კვლევაზე, პროექტზე დაფუძნებული მეთოდები და მეთოდები. როლური თამაშები, სიმულაციები, შემოქმედებითი, აქტიური და სოციალკულტურული სწავლების მეთოდები. დისკუსია, ჯგუფური მუშაობა, პრეზენტირება. იგაკვეთილის თემა: “რა არის ფული? როგორ ვაგროვებთ? რისთვის ვიყენებთ?”.

კონკურსის „ფინედუ კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა



N1 აქტივობა: მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფურად, მასწავლებლის მიერ წინასწარ დარიგებული სხვადასხვა ნივთების გამოყენებით (კალამი, რვეული, ვაშლი...) ცდილობენ სასურველი ნივთების გაცვლას (ბარტერი). მეორე ეტაპზე კი გაცვლაში სათამაშო ფულს იყენებენ. N2 აქტივობა: მოსწავლეები გაეცნობიან კომიქსს: „დაგროვების ამბავი“, შემდეგ კი წარმოიდგენენ, რომ ფულს შეუძლია საუბარი. მასწავლებლის დავალებით ქმნიან კრეატიულ მონოლოგს პერსონაჟის სახით: „ფულს ხმა რომ ჰქონდეს“ – სადაც ფული თავად მოყვება რაში იყენებენ ადამიანები მას. ვის ხელში ხვდება და რას გრძნობს.

II გაკვეთილის თემა: „ფულის დაზოგვის საჭიროება და უნარი“. მიზანი: მოსწავლეებმა გააცნობიერონ ფულის დაზოგვა/გაიაზრონ ხარჯების ტიპები/დაფიქრდნენ დანაზოგზე და როგორ მართონ ფული გონივრულად. N1 აქტივობა: მოსწავლეები გაეცნობიან ფინედუს რესურსს: „ზიუჯეტირება და დაზოგვა“, შემდეგ მუშაობენ ჯგუფურად. წარმოიდგენენ, რომ სურთ საინტერესო მოგზაურობა. აფასებენ, რამდენი ფული დასჭირდებათ, რაზე გააკეთებენ დანაზოგს და რა დროში დააგროვებენ სასურველ თანხას. ქმნიან ფლიბზარტებზე პატარა წარსადგენ პრეზენტაციას. N2 აქტივობა: მოსწავლეები მუშაობენ ინდივიდუალურად. თითოეულს ეძლევა წინასწარ გამზადებული სხვადასხვა ხარჯის ამსახველი ბარათები (მაგ: ტკბილეული, სათამაშო, ტანსაცმელი, წიგნი) დასახარისხებლად: ა) აუცილებელი ხარჯი, ბ) ხარჯი, რომელიც შეიძლება დაიზოგოს.

III გაკვეთილის თემა: საბანკო პროდუქტების და ტერმინების გაცნობა. მიზანი: მოსწავლეებმა მარტივი და სახალისო გზით დაიმახსოვრონ საბანკო ტერმინები. N1 აქტივობა: მასწავლებლის მინილექციის შემდეგ მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფურად. ჯგუფებმა უნდა შექმნან „საბანკო პროდუქტების მუზეუმი“, სადაც თითოეული პირობითი „ექსპონატი“ გამოსახავს საბანკო პროდუქტს. (მაგ: დეპოზიტი, სესხი, მიმდინარე ანგარიში). მოსწავლეებმა უნდა განიხილონ რა ტიპის საბანკო პროდუქტი შეესაბამება სხვადასხვა მიზნებსა და გარემოებებს. N2 აქტივობა: მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებში და თამაშობენ „მეხსიერების თამაშს“, რომლის მიხედვითაც საბანკო ტერმინები უნდა დააკავშირონ მათ სწორ განმარტებასთან. (მაგ: დეპოზიტი – ფულის სეიფში შენახვა).

IV გაკვეთილის თემა: ფინანსური სისტემის გაცნობა. I აქტივობა: ფინანსური სისტემის შესახებ მინილექციის შემდეგ კლასი იყოფა ჯგუფებად და თამაშობს როლურ თამაშს: „ფინანსური სისტემის ქალაქი“. თითოეული ჯგუფი შეარჩევს სურვილის მიხედვით და მოირგებს ერთ-ერთი ორგანიზაციის (ეროვნული ბანკი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, სადაზღვევო კომპანია, საფონდო ბირჟა) როლს. მოიძიებენ, განიხილავენ მორგებული როლის „ორგანიზაციის“ დანიშნულებას/მუშაობის პრინციპებს/ფუნქციებს და მოახდენენ პრეზენტაციას კლასის წინაშე.

კონკურსის „ფინედუ კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა



Vგაკვეთილის თემა: როგორ მივიღოთ გადაწყვეტილება? მიზანი: ფინანსურ გადაწყვეტილებებზე გავლენის მქონე ფაქტორების გაცნობა. N1 აქტივობა: „ფინანსური დილემის ამოხსნა“. მოსწავლეთა წყვილებს ეძლევათ წინასწარ ფერად ფურცლებზე დაბეჭდილი სხვადასხვა სცენარი. თითოეულ სცენარში მოსწავლეებმა უნდა აირჩიონ შესაძლო ქმედება, იმსჯელონ და გაამართლონ არჩევანი. გაანალიზონ რა შედეგი მოჰყვება მათ მიერ არჩეულ გზას და შესრულებული დავალება წარადგინონ კლასის წინაშე.

VIგაკვეთილის თემა: დეპოზიტი და პროცენტის გააზრება. მიზანი: თამაშით პროცენტის მარტივად გააზრება/დაგროვების/ანაზრის სარგებლობის გააზრება. N1 აქტივობა: „დეპოზიტების რბოლა“. მასწავლებელი მოსწავლეებს ჰყოფს ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფს ეძლევა გარკვეული თანხა. (მაგალითად: 200ლ). მათ წინაშეა სხვადასხვა „ბანკი“ (კლასის ცენტრალურ ნაწილში განთავსებული იქნება მაგიდები), სადაც განსხვავებული პროცენტია. თითოეულ ეტაპზე ჯგუფები მსჯელობენ, აანალიზებენ და ირჩევენ რომელ ბანკში განათავსონ თანხა. 3 ტურის შემდეგ, გუნდი რომელიც ყველაზე მეტ თანხას დააგროვებს, გამარჯვებულად ჩაითვლება. N2 აქტივობა: „დაზოგვის ყულაბების შოუ“. მოსწავლეებს მუშაობენ ჯგუფურად. უნდა გამოიგონონ პერსონაჟი, რომელიც დაზოგვის გზით ცდილობს ჩაფიქრებული მიზნის მიღწევას. საჭიროა შექმნან მოკლე ისტორია: როგორ ზოგავს და რამდენს აგროვებს, სად ათავსებს თანხას, რამდენ პროცენტს იღებს. შესრულებულ დავალებას ჯგუფები გაასიტყვებენ კლასის წინაშე.

VIIგაკვეთილის თემა: მომხმარებლის უფლებები. N1 აქტივობა: მინილექციის შემდეგ მოსწავლეები ირგებენ როლებს (ბანკირი, მომხმარებელი, გამყიდველი), ინსცენირებენ სიტუაციას, როცა უკმაყოფილო მომხმარებელი ბანკში წარადგენს პრეტენზიას ხარვეზიან პროდუქტზე. შემდეგ კი მასწავლებელთან ერთად განიხილავენ როგორ უნდა დაიცვას მომხმარებელმა თავისი უფლებები. N2 აქტივობა: „იპოვე უფლებები“. მასწავლებელს გამზადებული აქვს ფერადი ბარათები, თითოეულზე დაბეჭდილია მომხმარებლის სხვადასხვა უფლებები. ბარათები დამალულია კლასში. მოსწავლეები ეძებენ ბარათებს, პოულობენ და ჯგუფურად აყალიბებენ მაგალითებს ყოველდღიური ცხოვრებიდან თითოეული უფლების საილუსტრაციოდ. ჯგუფი, რომელიც დაწესებულ დროში მეტ ბარათს იპოვის/ამოხსნის, დაიმსახურებს „ფინედუს“ სამაგიდე დროშას.

VIIIგაკვეთილის თემა: მომხმარებლის პასუხისმგებლობები. N1 აქტივობა: მასწავლებლის მინილექციის შემდეგ მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში. მათ ეძლევათ სხვადასხვა სიტუაციის სცენარები (მაგ: მომხმარებელმა არ გადაიხადა გადასახადი დროულად/დააბრუნა უკვე გამოყენებული

კონკურსის „ფინედუ კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა



	ნივთი/უწყურადლებოდ წაიკითხა ხელშეკრულება და ა.შ).წყვილები მსჯელობენ,აანალიზებენ სიტუაციას და წარადგენენ დავალებას კლასის წინაშე.N2აქტივობა:მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფურად,ადგენენ „ქარტიას“,სათაურით:“როგორი უნდა იყოს კეთილსინდისიერი მომხმარებელი“.ქარტიაში გაამახვილებენ ყურადღებას მომხმარებელთა პასუხისმგებლობებზე და წარმართვენ დისკუსიას. IXგაკვეთილის თემა:ფინანსური თაღლითობა.N1აქტივობა:მოსწავლეთა ჯგუფებს ურიგდებათ ბარათები სხვადასხვა სცენარით-ზოგი რეალური შეთავაზება(ბანკის შეტყობინება),ზოგი კი თაღლითური(უცნობი გადარიცხვის მოთხოვნა,პრიზის მოტყუებით შეტყობინება).მოსწავლეებმა უნდა დაადგინონ რომელი სცენარი შეიძლება იყოს თაღლითური და რატომ.N2აქტივობა:მოსწავლეთა ჯგუფები ირგებენ როლებს,მოიფიქრებენ და დგამენ 1-2 წუთიან სკეჩს,სადაც თაღლითი ცდილობს მოტყუებას.მეორე პერსონაჟი დროულად ამოიცნობს “მახეს” და სწორად რეაგირებს. Xგაკვეთილის თემა:საბანკო ბარათები.N1აქტივობა:”შენ ხარ ბანკი“.მასწავლებლის მინილექციის შემდეგ მოსწავლეები ჯგუფურად თამაშობენ “ბანკობანას”,ირგებენ ბანკის როლს და ქმნიან საკუთარ საბანკო ბარათს გამოგონილი პირობებით(მაგ:ლიმიტი/თანხისდაბრუნების ვადა/ჯარიმები).შექმნილ პროდუქტს გააცნობენ კლასს და მსჯელობენ რომელი ჯგუფის მიერ შექმნილი საბანკო ბარათია უკეთესი და რატომ. XIგაკვეთილის თემა:ფულის განვითარების ისტორია.N1აქტივობა:”ფულის დროში მოგზაურობა“.მასწავლებელი მოსწავლეთა ჯგუფებს დაურიგებს სხვადასხვა ეპოქაში(მაგ:ბარტერი/მონეტარული პოლიტიკა/ქაღალდის ფული/საბარათო სისტემა/ფული საქართველოში)ამსახველ მასალას.ჯგუფებმა უნდა შექმნან პოსტერები იმ პერიოდის მიხედვით-როგორ ხდებოდა გაცვლა,როგორ გამოიყურებოდა „ფული“,რა სირთულეები იყო და ა.შ.შემდეგ მოახდენენ შექმნილი პოსტერების წარდგენას. XIIგაკვეთილის თემა:შეჯამება/რეფლექსია.”ფინანსური ცოდნის ბაზრობა”.მიზანი: მოსწავლეებმა სისტემურად შეაჯამონ ცოდნა,შემძღონ საჯაროდ პრეზენტირება,დაეუფლონ კრეატიულობას ფინანსური საკითხების შესწავლისას და გაიაზრონ რამდენად მნიშვნელოვანია ცოდნის გაზიარება. N1აქტივობა:მასწავლებელი პროექტის დასასრულის აღსანიშნავად მოიწვევს სასკოლო საზოგადოებას კლასში.სტუმრებისთვის მოსწავლეები მოემზადებიან შემდეგნაირად:თითოეული ჯგუფი კლასში მოაწყობს თავის “ფინანსურ სივრცეს”,სადაც წარმოადგენენ ერთ კონკრეტულ თემას პროექტიდან(მაგ:ანაბარი/სესხი/თაღლითობა).თითოეული ჯგუფი ამზადებს
--	--

კონკურსის „ფინედუ კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა



	მინიპოსტერებს;მაკეტებს;განმარტებებს და სახალისო კითხვებს სტუმრებისთვის;ფინანსურ თამაშს,მინი-ქვიზს;ერთპატარა “პროდუქტს”,რჩევას,რომელსაც გაატანენ სტუმრებს.(მაგალითად:ფულის დაზოგვის მინი წესები-დაბეჭდილი ბარათზე).მსურველებს ათამაშებენ სამაგიდე თამაშს:”ფინანსური ასოციაციობანა”. პროექტში ჩაერთვება 35-40 მოსწავლე.3-4 პედაგოგი,მშობლები სურვილის მიხედვით.პროექტი განგრძობითი ხასიათისა.
შედეგი, რომელიც დადგება პროექტის/აქტივობის შემდეგ (მიუთითეთ, როგორ გაზომავთ პროექტის განხორციელების შედეგს ან რითი შეაფასებთ პროექტის წარმატებას)	პროექტში გაწერილი აქტივობების მოსალოდნელი შედეგი. 1. მოსწავლეები გააცნობიერებ ფულის გამოყენების მიზანსა და მნიშვნელობას ყოველდღიურ ცხოვრებაში. 2. ჩამოუყალიბდებათ პასუხისმგებლობა ფულის ეფექტურად ხარჯვისა და დაგროვების შესახებ. 3. გაიცნობენ საბანკო პროდუქტებს(ანაბარი/სესხი/საბანკო ბარათები/დეპოზიტი) და ეცოდინებათ მათი გამოყენების წესები. 4. განუვითარდებათ ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების საბაზისო უნარი. 5. დაეუფლებიან მეწარმეობრივ აზროვნებასა და საკუთარი იდეების სწორად ფორმულირებას. 6. გააცნობიერებენ მომხმარებელთა უფლებებსა და პასუხისმგებლობებს. 7. შეძლებენ ფინანსური თაღლითობის ამოცნობას და რიკებისაგან თავის დაცვას. 8. განუვითარებათ საჯაროდ გამოსვლისა და პრეზენტაციების უნარები,შეძლებენ მიღებული ცოდნის გადატანას ყოველდღიურ ცხოვრებაში. 9. შეძლებენ ფინანსებზე საუბარს და დაეუფლებიან პასუხისმგებლიანი გადაწყვეტილებების მიღების უნარებს. პროექტის განხორციელების შედეგის გაზომვის მეთოდები 1. მოსწავლეთა ცოდნის შეფასება პროექტის დაწყებამდე და დასრულების შემდეგ. 2. შესასვლელი და გასასვლელი ბარათების გამოყენება/შევსება თითოეული გაკვეთილის ბოლოს. 3. მასწავლებლის მიერ თითოეულ მოსწავლეზე დაკვირვებისა და ჩანაწერების დღიურის წარმოება 4. ქულებზე დაფუძნებული დავალებები/თამაში. (მოსწავლეები პრაქტიკულ დავალებებში, მაგალითად, როგორიცაა: სიმულაციები, პრეზენტაციების წარდგენა, მოსწავლეები აგროვებენ ქულებს, რაც გაზომავს მათ ჩართულობას და ფინანსური აზროვნების დონეს 5. მოსწავლეთა და მასწავლებელთა წერილობითი/ზეპირი შეფასებები. პროექტის წარმატების შეფასების კრიტერიუმები 1. მოსწავლეთა დასწრების მონიტორინგი თითოეული შეხვედრისას. 2. პრეტესტსა და პოსტტესტის შედეგებს შორის დადებითი სხვაობა.

კონკურსის „ფინედუ კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში“ ფარგლებში
ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა



	- მოსწავლეთა როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფურად შექმნილი პროდუქტების რაოდენობა და ხარისხი. - მოსწავლეთა გამოხმაურებები პროექტის შესახებ. - მასწავლებელთა და მშობელთა უკუკავშირები მოსწავლეთა ქცევისა და დამოკიდებულების ცვლილებების შესახებ. - მოსწავლეთა სურვილი პროექტის დასრულების შემდეგაც გააგრძელონ ფინანსური განათლების გაკვეთილები.
დაახლოებით როდის გეგმავთ პროექტის ორგანიზებას/განგრძობითი პროექტის შემთხვევაში ინიცირებას	კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში პროექტის ორგანიზებას და პირველი აქტივობის ინიცირებას მოვახდენ 2024-2025 სასწავლო წლის 1 ოქტომბერს. აქტივობების ციკლი გაგრძელდება 15 დეკემბრამდე.